

საქართველოს მთავრობის უცივერსიტეტი

კ. პაპასკირი

ფრაზეოლოგიური ლექსიკონი
(სიტყვათა მყარი შეთანხმებანი)
ტომი II (ნ-ჰ)



რეკომენდებულია სტუ-ის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს
მიერ. 04.03.2011, ოქმი №1

თბილისი
2011

“ფრაზეოლოგიური ლექსიკონი (სიტყვათა მყარი შეთანხმებანი)” გათვალისწინებულია მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის, უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებისთვის, პროფესორ-მასწავლებლებისთვის, საზოგადოების ფართო წრისთვის. ნაშრომში განმარტებულია სიტყვათა მყარი შეთანხმებების იდიომატური მნიშვნელობები, “გაცოცხლებულია” უამრავი საინტერესო გამოთქმა. ბუნებრივია, წიგნს ვერ ექნება ყოვლისმომცველობის პრეტენზია, მაგრამ შერჩეული მასალა ფრაგმენტული ნამდვილად არ არის ფიგურალური სიტყვა-თქმები მათი დღევანდელი აქტუალურობის თვალსაზრისითაა წარმოდგენილი.

“ფრაზეოლოგიური ლექსიკონი (სიტყვათა მყარი შეთანხმებანი)” საზრდოობს თითქმის ყველა გამოცემით, რომლებიც ქართული ლექსიკოგრაფიის ამ მიმართულებისთვისაა ცნობილი და იდიომური გამოთქმების მასშტაბურად წარმოდგენის ერთ-ერთი მცდელობაა.

რეცენზენტები: პროფესორი ვ. მაღრაძე,
ასოც. პროფ. ქ. გიორგობიანი

© საგამოცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“, 2011

ISBN 978-9941-20-016-8 (ყველა ტომი)

ISBN 978-9941-20-018-2 (ტომი II)

<http://www.gtu.ge/publishinghouse/>



ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაზრი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), ან შეიძლება გამოყენებულ იქნას გამოსცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საუტორო უფლებების დარღვევა ისეცება კანონით.

6

ნაბადზე გადახტომა - ერთი ნახტომით ნაბდის სივრძეზე გადანაცვლება; გადატ. სიმარჯვე, სწრაფი მოძრაობა. **ნაბდის გაშლა მიზა** მიწის ის ოდენობა (დასამუშავებელი), რამდენზედაც ერთი ნაბადი გაიშლება; გადატ. სულ შეცირედი ფართობი მიწისა.

ნაბიჯის გადადგმა - გადატ. რამის წამოწყება, გაკეთება.

ნაბიჯს არ იზამს გადატ. არაფერს გააკეთებს, ხელს არ გაანძრევს, გაჯიქდება, გაბოტდება.

ნაბიჯს (ბიჯს) აღარ დგამს - გადატ. გაჯიქებულა, გაბოტებულა, არაფერს მოიმოქმედებს, არაფერს აკეთებს.

ნაბიჯს ვერ აძნევინებს - ნაბიჯს ვერ გადაადგმენინებს, ფეხს ვერ მოაცვლევინებს, ადგილიდან ვერ დაძრავს.

ნაბიჯს (ვეს, ბიჯს) გადაადგმევინებს - გადატ. გადააწყვეტინებს, გააკეთებინებს რამეს.

ნაბიჯს ჭინ გადაადგამს (ჭადგამს)-გადატ. წარმატებას მოიპოვებს, წინ წავა, განვითარდება.

ნადირის (გმილის და მისო.) პირის შეპრა - შელოკვა (შელოცვინება), რათა ნადირმა დაკარგული პირუტყვი არ დააზიანოს.

ნავსი გატყდა - ჯადოს ძალა გაქარწყლდა; გადატ. ეშველა, ხსნის გზა გამოჩნდა, აუცილებლად გასაკეთებელ, მაგრამ დიდხანს დაყოვნებულ, საქმეს დაწყება ეღირსა; პირველი ნაბიჯი გადაიდგა, წინააღმდეგობა დაითრგუნა.

ნავსი სდევს – მოჯადოებულია, გათვალისწინა; გადატ. ჯადოს ზემოქმედებით დაჩაგრულია, ბედშეკრულია. ხელ-მოცარულია.

ნავსის გატეხა – ჯადოს ახსნა; გადატ. გაჟეთება იმისა, რასაც მანამდე არ ან ვერ აკეთებდნენ.

ნაიელი დაადგება – 1. განათდება, გაძრწყინდება. 2. ცხონდება.

ნათელი დღის ნახვა – გადატ. ბედნიერად ცხოვრება, უზრუნველობა, უდარდელობა, სიმხიარულე.

ნათელი ჩაუღგება გულში – გადატ. გამხიარულდება, შვებით ამოისუნთქავს, სიამოვნებას იგრძნობს.

ნათელი ფერტილი – გადატ. სასიამოვნო, კარგი მოვლენა (მრავალ უსიამოვნებათა შორის).

ნათელის მოფენა – იგივეა, რაც შექის მოფენა.

ნათელის შვილი – გადატ. სიკეთე, სიწმინდე, ჭეშმარიტება.

ნათელის ჩაღოვა გულში – იგივეა, რაც გულში ნათელის ჩაყენება.

ნალსა და ჩლიქს ჟუა გამოდის მეტისმეტად უჭირს.

ნამგალა მთვარესავით მიღეული – დაპატარავებული მთვარე; გადატ. დალიან მიღეული, წვრილი.

ნამგალს შეიტანს (ყანაში) – მკას დაიწყებს.

ნამუსზე შეაყენებს, ნამუსზე მიაგდებს – აგრძნობინებს (რომ, მაგ., კარგად არ მოიქცა) და მასვე, მის ნამუსს, სინდისს მიენდობა.

ნამუსზე შეგდება (ვინმესი) – გადატ. დანამუსიანება, მოთხოვნა, თხოვნა ნამუსიანად მოქცეულისა.

ნამუსზე ხელის აღვბა გადატ. უნამუსობა, უპა-
ტიოსნობა, ნამუსზე ხელის აღება.

ნამუსის ახდა – გადატ. გაუპატიურება.

ნამუსის გამოშვერდა გადატ. უხერხულობის
დაფიარვა, სათაკილო საქციელის გამართლება, მობოდიშება.

ნამუსის მოშვერდა ვინეასთვის – გადატ. ვინ-
მესოვის უნამუსობის სახელის მოშორება, არიდება.

ნამუსის ქუდის მოხდა – გადატ. უნამუსობა, უპა-
ტიოსნობა.

ნამუსის ქუდის აიხდის – გადატ. ნამუსზე, პატიოს-
ნებაზე ხელს აიღებს, უნამუსოდ, უსინდისოდ მოიქცევა.

ნამუსის ქუდის მოხდის – გადატ. ნამუსს შეურცხ-
ვენს, დიდად შეარცხვენს, თავს მოსჭრის.

ნამუსის შენახვა – გადატ. საიდუმლოების გაუმ-
ჭლაკრიბლობა, საიდუმლოს დაცვა.

ნამუსიც კარგი საქონელია! – გადატ. იტყვიან,
როგორია (ვინმე) მეტისმეტს სჩადის, არავის და არაფერს
ანგარიშს არ უწევს; ნიშნავს: დროა სინდის და პატიოს-
ნებას მოვუხმოთ, ქმარა უსინდისობა, უპატიოსნობა, - სინდი-
ნი (კარგი საქონელია).

ნამუსს [ა]ხდის – [გა]უპატიურებს.

ნამუსს გაუტეხს – გადატ. ნამუსს შეურცხვენს.

ნამუსს მოსშვერდს – გაამართლებს სხვათა წინაშე,
დაუფარავს რამე უხერხულობას.

ნამუსს მოსშვერდს (ვინეას) – ნამუსიანად, პა-
ტიოსნად, უდანაშაულოდ გამოიყვანს (სხვების თვალში), გა-
ამართლებს (სხვებთან).

ნამუსს მოუპალავს – ნამუსს ახდის.

ნამუსს შეინახავს (შეუნახავს) ვინშეს სა-
ღუმლოს, დანაშაულს დაფარავს, არ გააძხელს.

ნამუსს ჭართმევს – ნამუსს ახდის.

ნამცეცა გული – ქვენა გრძნობებით შეპყრობილის
გული; მხდალის, მშიშარას გული.

ნამცეცობა სულისა და გულისა - გადატ.
დაწვრილმანება, ნაკლებობა კეთილშობილებისა, სიღიადისა,
სულგრძელობისა, დიდბუნებოვნობისა.

ნანას ეუბნება – ნანას (იავნანას) უმღერის.

ნარეპლიანი გზა – ნარითა და ეკლიით მოუქნილი
გზა; გადატ. დიდი გაჭირვება, დაბრკოლება თუ უსიაროვნება,
გადასალახავი და დასაძლევი.

ნასპვის ტვერის პოვნა – გადატ. გაჭირვებისათვის
თვის დაღწევა, შველა-ზნა, გართულებული მდგრმარეო-
ბისაგან თვის დახსნა.

ნატვრის ბეჭედი – იგივეა, რაც ნატერის თეატრი.

ნატვრის სუვრა გაუშალეს – ყოველგვარი სას-
მელ-საჭმლით სავსე სუფრა გამართეს; გადატ. მზამზა-
რეულად, უშრომლად და გაურჯელად მიართვეს ყოველივე,
ცხოვრებისათვის საჭირო სიკეთე.

ნატვრისთვალის პოვნა – ყოველგვარი სურვა-
ლის ამსრულებელი ქვის პოვნა; გადატ. ყოველგვარი, თვით
შეუძლებელი სურვილის შემსრულებელი, ყოვლისძომნიჭი-
ბელი ქვის ხელში ჩაგდება.

ნაღების მოხდა – საუკეთესოს, ნარჩენის მოცილება,
სხვისი ნაშრომ-ნაღვაწით სარგებლობა, მისაკუთრება და
მითვისება საუკეთესოსი.

ნაღველა გაასივა (გაუსივა)—ძალიან შეაწუხა; გაძრაზა, გაჯავრა.

ნაღველი აეშალა — იგივეა, რაც ნაღველი მოერია.

ნაღველი აეშლება, ნაღველი მოერება — გადატ. სევდა, დარდი მოერევა, - დაღონდება, დანაღვლიან-დება.

ნაღველი აფევს — გადატ. შეწუხებულია, დაღონებუ-ლია, დადარდიანებულია, დანაღვლიანებულია.

ნაღველი, გული გაუსივდება — გადატ. მეტის-შეტად შეწუხდება, ძალიან გაბეზრდება, გული გაუწყალდება.

ნაღველი მოერია — გადატ. დასევდიანდა, დაღონდა, დადარდიანდა.

ნაღველი უსივდება — გადატ. ბრაზობს, გული უსკ-დება, დიდადა შეწუხებული, მეტისმეტად აწუხებს რაღაცა.

ნაღველის გასივება — გადატ. გაძრაზება, შეწუხება, გულზე გახეთქა, გულის გასივება, წუხილი, ჭმუნვა, ურვა, სევდა.

ნაღველის ჩატურვა გულში — გადატ. გულის დაღარდიანება, მწუხარებით ავსება.

ნაღველს, გულს გაუსივებას — გადატ. მეტად შეწუხებს, - გულს გაუწყალებს.

ნაღველს შეასმევს გაამწარებას.

ნაღველს ჩატეცევს — გაასავათებს ზედმეტი შრომით, ტანჯვათ, დარდით (ცემით...).

ნაღვერდალზე წოლა — გადატ. წვალება, დაგვა, მწუხარება, დარდ-ნაღველი.

ნაღვლის დაღვინება – გადატ. გამწარება, გაწამება, დატანჯვა.

ნაყე-ნაყელ თქმა – გადატ. მძიშე-მძიმელ, გაჭირვებით ლაპარაკი, ნაწყვეტ-ნაწყვეტ, სეენებით თქმა სათქმელისა.

ნაცარ-მტვრად ქცევა – იგივეა, რაც ნაცარტუტად ქცევა.

ნაცარტუტად ქცევა – მოსპობა, განადგურება, გა-ცამტვერება.

ნაცარტუტად, ნაცარ-მტვრად აქცევს; ნი-ორზყლად აქცევს – გაანადგურებს, მოსპობს.

ნაცარტუტის აღმნა – გადატ. მოსპობა, განადგურება, გაცამტვერება, ბდლვირის აღნა.

ნაცარში ჯდომა – გადატ. გლოვა, ტირილი, მწუხა-რება, დარდი, ნაღველი, თავის შერცხვენა.

ნაცრის ქექვა – გადატ. უსარგებლოდ შრომა, წყლის ნაყვა; უსაქმურობა.

ნაფილი არ ჩასულა (ვინას) პირში, ნაფი-ლი არ ჩასვლია პირში – არაფერი უჭამია.

ნაფლავებზე ვეხს იღგამს – წელებზე ფეხს იღ-გამს.

ნაფლავებში დაფყდომა – ნაწლავების დაკლეჯა; გადატ. ძალიან დატანჯვა, სიკედილს მიახლოება.

ნახვარი აღამიანი (ნახვარი პაცი, ქა-ლი) – ადამიანი (კაცი, ქალი), რომელსაც რაშე დიდი ფიზიკური ნაკლი აქვს, - დავრდომილი, მახინჯი, საპყარი.

ნახვარი ვერ დათვალოს (იმდენი მი-ვართყა) – ბევრჯერ, მრავალგზის (კემა).

ნახტომი შეგვლება - ანგარიშში მოტყუვდება, მოლოდინი არ გაუმართლდება.

ნახტომის შეგვლა შარცხად, უხერხულად გადახტომა; გადატ. დაბრკოლება. ხელის მოცარვა, წინდაუხედაობა, მოუსაზრებლობა, უკუღმართობაზე დადგომა.

ნახშირი პედელს! გადატ. რა იშვიათი ამბავი მოხდა! როგორც იქნა! ძლივს გვეღირსა! მაღლობა ღმერთის!

ნაჭუჭვი იპეტება გადატ. ვიწროდ იფარგლება, იზღუდება, თავის თავში იკეტება.

ნება (უფლება) მიეცხა - ნებას (უფლებას) მისცემენ, ნებას დართავენ.

ნებიერობა ხორცისა - გადატ. გადამეტებული ზრუნვა ხორციელი ცხოვრებისათვის, უგულებელყოფა სულიერი ცხოვრებისა.

ნებით თუ უნებლიერი - ჩემი სურვილით თუ ჩემდა უნებურად, მინდა თუ არ მინდა.

ნებსით (ნებით) თუ უნებლიერი - ძალაუნებურად.

ნეპზე პბენა იგივეა, რაც თითზე კბენანი.

ნემსი არ ჩაიგდება იგივეა, რაც ნემსი არ ჩავარდება; გადატ. ადამიანთა დიდი სიმრავლე, დიდი თავმოყრა ერთ ადგილზე.

ნემსი (ნემსის ყუნცი, კუნცი) არ ჩავარდება გადატ. იტყვიან, როდესაც ადამიანთა დიდი სიმრავლეა, ჭედვაა, როდესაც საძრაობა, გასაქანი არ არის.

ნემსის ყუნციში გააპვრენს - გადატ. სულს შეუხუთავს. შეავიწროებს, არ გაახარებს.

ნემსის ყურადღიანობის მიზანი – გადატ. ყოველ ღონეს ხმარობს, არაფერს ერიდება (მიზნის მისაღწევად), გველის ხვრელში ძვრება.

ნემსი (ნემსის ყურადღიანობი) გადატ. ყველაფერს გააქეთებს, ძალ-ღონეს არ დაიშურებს, ყოველ ღონეს იხმარს, არაფერს მოერიდება (რამე მიზნის განხორციელებისათვის).

ნერვების აპლება – ნერვები გაუღიზიანდება, აღიგზნება.

ნერვების აშლა – გადატ. განერვიულება. აღელვება, გაღიზიანება.

ნერვული [გა]უშრება (წყენა-გაბრაზებისგან და სხვ.) პირში, ხახაში სიმშრალეს [ი]გრძნობს.

ნერვულის ყლაპვა – გადატ. დაუკმაყოფილებელი ნდომის, მიუწვდენელი სურვილის, აუსრულებელი წადილის განცდა.

ნერვულის [მო]პგვირის (რამვ) – იგივეა, რაც ნერწყვი მოსდის (მოუვა).

ნეტავი იმ დღეს (იმ დროს)! – იტყვიან, როდესაც კარგი რამ მოაგონდებათ წარსულიდან.

ნეტავი იმას (შენა, თქვენა, ჩვენა...) – იტყვიან, მის შესახებ, ვის ბედსაც შენატრიან.

ნეტავი პრასი მეჭამა და ეს (რამვ) არ მექნაო – პრასის ჭამა შერჩივნა, ამის გაკეთებას; გადატ. სასირცხვილო, დასანანი საქციელი.

ნეტავი შენ! – ნეტარება, ბედნიერება მოგენიჭოს, ყველა შენ შემოგნატროდეს!

ნეტარების მორავში ცურავს – დიდ ნეტარებას, ბედნიერებას განიცდის.

ნიაღაგი გამოეცლება – გადატ. საყრდენი წაერო-მევა, საფუძველი მოესპობა.

ნეხვიდან ამოთრევა – გადატ. გაჭირვებისაგან ხსნა, ამორალური ცხოვრებიდან დახსნა, სირცხვილის აშორება.

ნიაღაგი მზადდება – სასურველი, შესაფერი პირობე-ბი იქმნება რამის გასაკეთებლად, საფუძველი ეყრება, საწ-ყისი კძლევა.

ნიაღაგი, ძირი, საძირკველი შეერყევა – სიმტკიცე, ძლიერება მოაკლდება, რღვევას, დაშლას დაიწ-ყებს, დასუსტდება.

ნიაღაგის გამოცლა (ვეხვევ) – გადატ. საფუძვ-ლის, საყრდენის მოსპობა.

ნიაღაგის მოგზადება – გადატ. საჭირო პირობებ-ის შექმნა (რამის განსახორციელებლად).

ნიაღაგის მოსინჯევა – გადატ. რამე შესაძლებლო-ბის შემოწმება, გასინჯვა, შესწავლა, ვითარების გათვალ-ისწინება.

ნიაღაგს მოგზადება – გადატ. რამის განსახორ-ციელებლად წინასწარ საჭირო პირობას შექმნის.

ნიაღაგს (საძირკველს, საფუძველს) გამოა-ცლის გადატ. საყრდენი, წაართმევს, საფუძველს მოუს-პობს, უნიადაგოს გახდის.

ნიაღაგს უმაგრებს გადატ. საფუძვლიანს ხდის, ამტკიცებს (რამე მოსაზრებას, მოქმედებას).

ნიაღაგს უმზადებს პირობებს, საფუძველს უქმ-ნის; შესაძლებელს ხდის (რამეს).

ნიავს არ აპარებს – იგივეა, რაც დილის სიოს არ აკარებს.

ნივრის ფასად – იმად, რამდენადაც ნიორი ფასობს ხოლმე; გადატ. მეტად იაფად, თითქმის შუქთად.

**ნიორფყალივით გახდის, ნიორფყლად აქ-
ცევს** – გადატ. სასტიკად სკემს, დაბეჭავს, ცხვირ-პირს დაუჩეჩქეავს; გაანაღგურებს.

ნირი შემშლება – წესი აქრევა, ზნე, ჩვეულება გამო-
ცვლება.

ნირის შეშლა – გადატ. წესის არევა, ზნე-ჩვეულების გამოცვლა; განზრახვის, სურვილის შეცვლა.

ნირის შეცვლა – იგივეა, რაც ნირის შეშლა.

ნირს არ გაიტეს – იგივეა, რაც ისტიბარს არ გაი-
ტეს.

ნიღაბის ახდა სიყალბისათვის ფარდის ახდა. გა-
მომულავნება ვინმეს ყალბი სახისა; გადატ. თქმა იმისა,
რასაც ვუიქრობთ და რასაც შანამდის კმალავდით; ნამდ-
ვილი სახის გამოჩენა.

ნიღაბის ჩამოგლეჯა გადატ. გამოაშკარავება,
გამომულავნება, დღის სინათლეზე გამოტანა.

ნიღაბის ჩამოფარება – სახეზე ყალბი სახის ტარე-
ბა; გადატ. დამალვა, დაფარვა, შიჩქმალვა.

ნიღაბის ჩამოს სნა – იგივეა, რაც ნიღაბის ჩამოგლე-
ჯა.

ნიღაბს მოჟგლეჯს – გადატ. ამხელს, საქვეუნოდ
გამოააშკარავებს.

ნიღაბს ჩამოაფარებს – გადატ. დამალავს, დაფარავს.

ნიღაბს [ჩამო]იხ სნის – თავის ნამდვილ ზრახვებს კვაძო]აჩენს, [გამო]ამჟღავნებს, [გამო]აშკარავებს.

ნიღაბს [ჩამო]ხდის, ნიღაბს [ჩამო]კგღეჯს

გადატ. [გამო]ამჟღავნებს, [გამო]აშკარავებს (ვინმეს თვალთ-მაქვობას, ბნელ ზრახვებს და მისთ.).

ნიშადური ამოსცხომ – გადატ. გააქცია, დააფრთხო, გააგდო; გაამწარა, გააღიზიანა.

ნიშადურს ამოსცხებს (მოსცხებს...) – გადატ. გააქცევს, დააფრთხობს, გააგდებს.

ნიშანში ამოდება – გადატ. გადაკიდება, ათვალ-წუნება. მტრული მოქმედების საგნად გახდომა, მიზანში ამოღება; ამორჩევა.

ნიშნის [მო]გება – გადატ. გამარჯვებულის, გამართ-ლებულის ტონით ვინმესთვის რამის გახსენება, მოგონება (დაკინვის ელფერით); საყვედური, სამაგიეროს გადახდა, ჯავრის ყრა.

ნიშნის მოგებით – გადატ. გამარჯვებული ტონით, დაკინვით, გესლიანად.

ნიშნს [მო]ეგება – [გა]უხსენებს, [მო]აგონებს რამეს (დაკინვის ელფერით); აგრძნობინებს, რომ თვითონ მართალია. რომ ჩას აჯობა.

ნიშნს უგებს – უხსენებს, აგონებს რამეს (დაკინვის ელფერით); აგრძნობინებს, რომ თვითონ მართალია, რომ მას აჯობა.

ნოეს ვაზის ღვინო – ბიბლიურ მამამთავრის ნოეს ვაზის ყურძნისაგან დაწურული ღვინო; გადატ. საუკეთე-სო ღირსების ღვინო.

✓ “დაბადებაში” ღვინო და კავშირებულია ნოეს სახელითან. ძხოვლით წარლვნის დამთავრებისა და კიდობნიდან ვასტა-კლის შემდევ ნოემ, თანახმად “დაბადებისა” მიწის დამზა-მავებას მიჰყო ხელი და მევენახეობა დაიწყო. როგორობას ყურძენი რომ დაწურა. ღვინო იგემა და დათვრა. აქედან წამოვიდა ღვინის ქება და დღეს, როგორ უნდათ ღვინის საუკეთესო ღირსების გამოხატვა, ამბობენ: ეს ღვინო ნოეს კაზისაო, ე.ი. სულ თავანჯარაა, უკეთესი წარმოედგენი-ლიან.

ნოეს პილობანი – კიდობანი, რომელშიც ნოე, თავის მრავალრიცხოვან მრევლთან ერთად, თავს აფარივდა წარ-ლვნისაგან; გადატ. სრული, უზარმაზარი, დიდის ტევადობისა. ✓ თანახმად “დაბადებისა” ნოე, მისი ცოლ-შვილი და კან-კელები ნოეს მიერ შეერულ კიდობანში ისხდნენ, რათა თავი გადაერჩინათ წარლვნისაგან. გადატანითაც და ჩუმ-რობითაც დღეს საუბარში ნოეს კიდობანს უწოდებენ ყვე-ლა კრცელ სამყოფელს, სადაც დიდძალ ხალხს შეუძლია თავი შეაფაროს.

ნოეს კიდობანსაც ვეძახით განსაკუთრებული ტევადობის ჭურჭელს, მაგ., საწნახელს, ზანდუქს და სხვ.

ნოეს პილობნისა – გადატ. ძალიან ძველი, დამველი-ბული.

ნოეს მტრედი – მტრედი, რომელიც ნოემ კიდობნიდან აურინა; გადატ. საყვარელი, ძვირფასი, უმწიკვლილ არსება; იმედის მონიჭებელი, სასიხარულო მოამბე.

✓ თანახმად “დაბადებისა” ნოემ, მისმა ცოლ-შვილისა და პირუტყვთა განსაზღვრულმა რიცხვმა, წარლვნის დროს, თავი შეაფარა ნოეს მიერ შეერულ კიდობანს. როგორ ნოემ

იხისძღვისა გაუგო წარლვნის დასასრული, კურ ყვავი გამოუშვა კილობნიდან „მბის შესატყობად. რაკი ყვავი უკან აღარ დასრულდა, მას შემდეგ მტრული აფრინა, რომელმაც, ნიშნად წარლვნის დასასრულისა, ზეთისხილის რტო მოუტანა. ნოუ მიჩვდა: წყალს დაუკლია, ხმელეთი გამოჩენილა და შეი-ქმნა კიდობნიდან გამოსვლაო.

„მას შემდეგ ზეთისხილის შტო ითვლება, იმედის სიმ-მოლიდ, ხოლო მტრული – მანარობლად წარლვნის დას-რულებისა, ნუკეშად კაცობრიობისა. თქმა – “ნოუ მტრუ-ლი!” გამოიყენება ალერსის, მისიყვარულების, დაყვავების გამოსახატავად.

ნუ გაიგონებ, ყურო, და ნუ გამოიტყვი (იტყვი), ენავ – ისეთი რამ, რაც არც ყურით მოისმი-ნება და აღარც ენით ითქმის; გადატ. ყოვლად საძაგელი, უსაზღვროდ ცუდი.

ნუგაში ეპლევა – იმედი ეძლევა, მხნევდება.

ნუგაშის მიცემა – დაიმედება, გამხნევება.

ნუგაშის საცემად – რათა ნუგეში სცენ, სანუგე-შებლად.

ნუგაშის სცემს (აპლევს, მისცემს...) – ნუგეშის სიჩეკებით შიმართავს, [და]ანუგეშებს, [და]აიმედებს, [გა]ამჩნევებს.

ნუნუასა სფყალობს – ღვინის მიმართ ზედმეტად კეთილგანწყობილია; გადატ. ღვინის სმა უყვარს, მსმელია.

ნურა თვალმა ნუ ნახოს! – ადამიანის თვალს არ დაუნახვება; გადატ. საშინელებაა, საზიზღარია, გულის ამრე-ვია; გასაოცარია, საკვირველია.

ობლის ლუპაა – გადატ. ლარიბული, გაჭირვებული ცხოვრება.

ობობას ქსელის გაბმა – გადატ. (ვინმეს) დაჭერა, გამოჭერა, ხელში ჩაგდება, ეშმაკობით და გაიძერობით სოტ-ჭუება, დაბინდული, გაურკვეველი ქმედება, გამოურკვევლიობა.

ობოლი გარგალიტი – გადატ. 1. უბალლო, აშკათი. რჩეული. 2. მარტოდმარტო, განცალკევებით.

ოთარაანი ქვრივი – გადატ. გამრჯე, უაღრესად მრომისმოყვარე ქალის სიმბოლო: სამართლიანობის დამცველი, უსამართლობის მდევნელი და მტერი; გულგრუტეხელი, ენით მწარე - გულით კეთილი.

ოთხ პედელშუა – გადატ. 1. ჩუმალ, საიდუმლოდ, შინაურულად, დაფარულად კეთება საქმისა. 2. მარტოდ, ეულად, ოთხ კედელშუა გამომწყვდეული.

ოთხ ჭიკამდე – გადატ. მეოთხე მოდგმამდე, ძალზე შორს, დიდი სნის შემდეგ.

ოთხზე ივლის – გადატ. ყველაფერს გააკეთებს, ყოველ ღონეს იხმარს.

ოთხივ პუთხივ ჯვარი გეფეროს – გადატ. დაგიფაროს ბოროტისა და მავნისაგან, გიხსნას განსაკლელისა და უბედურებისაგან.

ოთხზი ამოიღებს – ტყავს გააძრობს [საკლაკს] (გაუჭრელად, მოლიანად).

ოთხზი ამოღება საქონლის გატყავება ტყავის გაუჭრელად; გადატ. დაუზოგავად ცემა, ჯავრის ამოყრა, შავი დღის დაყრა.

ოთხში იღებს – ტყავი, აძრობს გაუჭრელად, მთლიანად (საკლავს); გადატ. სცემს, ჯავრს იყრის, ძალზე მკაცრად კეცერობა.

ოღოღო ჩემს საქმეს! – საქმის ცუდად წასვლა; გადატ. ჯანდაბას ჩემი თავი და ჭანი.

ორ ნაბიჯზე – გადატ. აქვე, ძალიან ახლო, მცირე მანძილზე.

ორ სიტყვას ვერ (ძლივს) გადაპაპამს – 1. ორ სიტყვას ვერ (ან ძლივს) იტყვის (დალაგებულად, გამართულად); ლაპარაკი ან ეხერხება. 2. გონებაშეზღუდულია.

ორ სპამზე ჯდომა გადატ. მერყეობა, უპრინციპობა, მსოფლმხედველობის ცვალებადობა დროსა და უამის შესაფერისად.

ორ სპამს შუა ზის (არის), ორ სპამზეა, ორ სპამზე ზის – გადატ. არც იქით არის, არც აქეთ, მერყეობს, უპრინციპობას აჩენს.

ორ ვრონტზე იბრძვის – გადატ. ორი მიმართულებით იბრძვის.

ორ ცეცხლს შუა არის, იცვის, დგას – ორმხრივ ორგვარ გასაჭირდა.

ორ ცეცხლს შუა ჩააყენებს – ორმხრივ გასაჭირდი მოაქცევს.

ორ ცეცხლს შუა ჩავარდნა – ორმხრივ გასაჭირდი მოხვედრა.

ორ ფყალს შუა დგას – გადატ. არჩევანის წინაშეა. ყოფმანობს, მერყეობს.

ორ ფყალს შუა იღგა – არ იცოდა, რა ექნა, - ყოყმანობდა, მერყეობდა, ვერ გადაეწყვიტა.

ორ ხმას ერთად ვერ ამოიღებს ორ სიტყვას ერთად ვერ იტყვის, ერთმანეთს ვერ გადააბამს; გადატ. 1. ჩუმი, უწყინარი. 2. გონებაჩლუნგი.

ორი დღის სიცოცხლე – სიცოცხლე, რომელიც შხოლოდ ორიოდე დღეს გასტანს; გადატ. ხანმოკლე. წუთიერი სიცოცხლე.

ორი ფასის გადაღგაზე – ორჯერ ფეხის გადაღმის ტოლი მანძილი; გადატ. სულ ახლოს, აქვე.

ორი ზოღატი ჭყავი ააძრო ზურგიდან გადატ. ძალზე, დაუზოგავად სკემა.

ორი ხელით პირს იბანს – გადატ. წამოიზარდა, შეუძლია თავის თავს უპატრონოს; კოპტიაობის (ქალზე ითქმის).

ორი ხუთშაურადა – ორის ფასი ხუთი შაურია; გადატ. იაფია, ყველასათვის ხელმისაწვდომია, ძვირი არ არის.

ორივე მხარეზე პერვა – გადატ. ერთმანეთის საწინააღმდეგო საქმეების კეთება, ორპირობა, მერყეობა, უპრინციპობა, ორ სკამზე ჯდომა.

ორივე ხელით – უყოფმანოდ, სიხარულით.

ორივე ხელით დაბლაუჭება – ორივე ხელის ჩავლება რამესთვის; გადატ. სავსებით დაპატრონება, დაუფლება რამისა.

ორიც არ დაღის ამისთანა – ორი კაციც არ მოიძებნება იმისი მსგავსი, შესადარი; გადატ. ტოლი არა ჰყავს, მისი სადარი იშვიათია.

ორმოს უთხრის – გადატ. ცუდ რამეს უპირებს, ვინმეს დაღუპვას ცდილობს, მტრობს, მახეს უგებს.

ორში ერთი – ან ერთი, ან მეორე, ან მე, ან ის.

ორცეცხლშუა ყოვნა – გადატ. გამოუვალ მდგო-
მარეობაში, განსაცდელში ყოფნა, ძნელი არჩევანის წინაშე
ყოფნა, ორ წყალშუა დგომა.

ორცეცხლშუა ჩავარდნა გადატ. გამოუვალ.
მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნა.

ორცყალშუა დარჩენა გადატ. გამოუვალ, მძიმე
მდგომარეობაში დარჩენა.

ორცყალშუა დარჩენილი – გამოუვალ მდგომა-
რეობაში დარჩენილი.

ორცყალშუა დგომა – გადატ. ძნელი არჩევანის
წინაშე ყოფნა, გამოუვალ, მძიმე მდგომარეობაში ყოფნა,
ორცეცხლშუა ყოფნა.

ორცყალშუა ყოვნა – იგივეა, რაც ორწყალშუა
დგომა.

ორღობეში საყვარი არ ჩამიზრა – გადატ.
კერაფერს დამაკლებ, ვერ მაჯობებ, ვერას მიზამ, ტყუილად
იკვეხნი ჩემ მორევას.

ორჯერ მოპლული ორგზის სიცოცხლეწართმეუ-
ლი; კადატ. როცა ორი სასირცხვილო და სადარდელი
საქმიდან, თითოეული ცალკე სიკვდილს უდრის.

ოფლი გადასდის, ხვითები გადასდის – ოფ-
ლად თღვრება, ოფლში იწურება.

ოფლი დაიღვრება გადატ. ძალიან ბევრს იშ-
რომებენ, დიდ ჯაფას გასწევენ.

**ოფლით და სისხლით შემენილი (მონა-
გარი)** გადატ. მძიმე შრომით, გაჭირვებით, ვაივაგლა-
ხით, ჭაპანწევეტით შეძენილი რამ.

ოფლით [მო]რცყავს, ოფლით ირცყვება
გადატ. ბევრ ოფლს ღვრის. დიდ შრომას ეწევა: დიდი
შრომა იხარჯება.

ოფლით მორცყული (დამბალი) – გადატ. რაზე-
დაც დიდი შრომა გაწეული, დახარჯული.

ოფლის ღვარს იცურავს – ძალიან ბევრის შრო-
მობს, იღვწის, ირჯება.

ოფლს აცურვინებს – გადატ. დაუზოგავად ამუშავებს.
ცუდ დღეს აყრის, მძიმე მდგომარეობაში აყენებს.

ოფლს იცურავს – გადატ. ძალიან ბევრს შრომობს,
ოფლს ღვრის.

ოფლს ღვრის (იცურავს...) – გადატ. ძალიან ბევრს
შრომობს.

**ოფლში გაიცურება – ძალიან შერცხვება, სირცხ-
ვილისაგან შეწუხდება.**

ოფლში გაცურული (გაცურული) გადატ.
ვინც ბევრი იშრომა, ბევრი ოფლი დაღვარა.

ოფლში იცურება – დიდ ოფლს ასხამს. იგივეა, რაც
სირცხვილის ოფლში იწურება.

ოფლში ცურავს (იცურება) – გადატ. ბევრს
შრომობს, დიდი ჯაფა ადგას.

ოფლში (ხვითეში) გაცურებული გადატ.
ძალიან გაოფლიანებული, ოფლში გაწურული.

ოპრო-ვერცხლში, ოპრო[სა] და ვერცხლ-
ში ჩამჯდარი 1. მეტად მდიდრულად, ოქრო-ვერც-
ხლით გაწყობილი ტანსაცმლით მოსილი. 2. ზოგადად, აუ-
რაცხელი ქონების პატრონი; მდიდარი, ძალზე შეძლებული.

ოქროს დრო ოქროს ხანა; გადატ. 1. ბედნიერი დრო, კეთილად მოსაგონარი ხანა, დრო, რომლის განმავლობაში წარმატებით, ყოველმხრივ მოჭმულად, ცხოვრობდა ესა თუ ის კრი. 2. ახალგაზრდობის წლები.

ოქროს მაღანი აქვს – ძვირფასი ლითონის საბა-ლოებს, ფლობს; გადატ. ძალზე მდიდარია, გამოულეველი ფული აქვს.

ოქროს ვასალ ოქროს ღირებულებისაა; გადატ. ძვირფასი, შესანიშნავი, ძალიან კარგი.

ოქროს ვონდი – გადატ. საუკეთესო, ყველაზე ძვირ-ფასი საწილი.

ოქროს ხანა (საუკუნე, დრო...) – გადატ. საუკუთესო, ბედნიერი, ბრწყინვალე ხანა (საუკუნე, დრო...) ამა თუ იმ ხალხის, ერის ისტორიაში.

ოქროში (თვალ-მარგალითში) ჩასვამს – გადატ. ფუფუნებაში ამყოფებს, გაამდიდრებს.

ოქროში ჩამჯდარი – გადატ. ძალიან მდიდარი.

ოცნების პოვპებს [ა]აგმებს (ემნის) – გატაცე-ბით ოკნებობის, ძნელად განსახორციელებელზე.

ოხრად დარჩება – უპატრონოდ დარჩება, გაუტიალდება (კინძეს).

ოხრად დარჩენა – უპატრონოდ, თავმინებებულად დარჩენა; გადატ. წყევლა: სიკვდილი.

ოხრად დარჩეს – წყევლა ან ფიცი; ნიშნავს: უპატ-რონოდ დარჩეს.

ოხტიდან (ა)მოსვლა – გადატ. ჯავრის ამოყრა, სამაგიუროს გადახდა.

- ოხტში (ა)მოსვლა** – სამაგიეროს გადახდა; გადაჭ. ჯავრის ამოყრა.
- ოჯახი დაქცევა** – გადაჭ. ოჯახი დაუნიკრევა. დაუღი-პება
- ოჯახი (თავზე) ჩამოქცევა** – იგივეა, რაც ოჯახი დაუქცევა.
- ოჯახის აშენება** – გადაჭ. წარმატება, მოგება, გასარ-ჯვება, ბეღნიერება, სიკეთის შეძენა.
- ოჯახის დაქცევა** – გადაჭ. უბედურება, გაოხრება, უკულმართობა, ბოროტება, მოსპობა, ყოველი სიმდიდრის დაკარგვა, ამოწყდომა.
- ოჯახის მუშაფი** – გადაჭ. ვინც ერთგულად ექიდი-ბა და უვლის ოჯახს, ოჯახის საქმეს, ვინც მუყაითი მერ-ჯახეა, ოჯახზე გადაგებული.
- ოჯახს ეპიდება** – ოჯახს იჩენს (კაცი). ცოლს ირ-თავს.
- ოჯახს მოეპიდება** – ოჯახს შექმნის. ცოლს შეირ-თავს, - დაოჯახდება, დაცოლშეილიანდება.

3

პალოსავით (ხანჯალივით...) დაესობა - უეკრად გაჩნდება, თავს ამოყოფს (სადმე), დაერჭობა.
პანტის ჩირი - გადატ. მდარე, ყოველგვარ ფასს მოკ-ლებული.

პანღურს ამოუსვამს - პანღურს ამოჰკრავს.
პანღურს ამოჰკრავს - ფეხს ამოარტყამს, ამოჰკ-რავს. გადატ. გააგდებს, უხეშად მოიშორებს, უმაღურად მოიქცევა.
პანღურს სცემს - იგივეა, რაც პანღურს ამოჰკრავს.
პანჩურის ამოჰკრავ - გადატ. დიღი შეურაცხყოფა, მოშორება, ჩამოხსნა, ხელის აღება, გალანძღვა, უარის თქმა.
პატიჩემის მოსაკითხავად ჭავილა - გადატ. ირონ. მოქვდა.

პასუხი აგო - გადატ. თავისი საქციელისა და მოქმე-დებისათვის პასუხი მოსთხოვეს; დანაშაულისათვის სამს-ჯავროზე წარსდგა, სასჯელი მიიღო.

პასუხს მოსთხოვს, პასუხს მოჰკითხავს - გადატ. ჩადენილი საქციელისათვის, მოქმედებისათვის ანგა-რიშს მოსთხოვს, პასუხს აგებინებს.

პატარძალივით ჯდომა - პატარძლის მსგავსად ერთ ალაგას ჯდომა, გაჩერება; გადატ. არაფრის კეთება, ხელის გაუნძრევლობა, უსაქმურობა.

პატივის აყრა - გადატ. უპატივცემულოდ მოპყრობა, ღირსების ახდა, დამცირება, შეურაცხყოფა; მოქალაქეობ-რიგ უფლებათა ჩამორთმევა, პატივის ახდა.

პატივის ახდა - იგივეა, რაც პატივის აყრა.

პატივის დაღება – გადატ. დაფასება, პატივისცემა
პატივის მიაგება – ღირსეულად პატივის სცემს, ღირსების შესაფერად მოეყყრობა.

პატივის სცემა – გადატ. აფასებს, პატივით ეპყრობა, ანგარიშს უწევს.

პატიოსან სიტყვას გაძლევა[თ]
 (მოგცემ[თ]...) – ნათქვამის სისწორეში, სიმართლეში მსმენელის დარწმუნება.

პატიოსანი დღე – კარგი, სასიამოვნო დღე.

პატიოსანი სიტყვის მიცემა – სინდისიანი, პირიანი სიტყვის თქმა; გადატ. პატიოსანი სიტყვით დაპირუება რამის უჟკველად გაკეთებისა.

პატიოსნებაზე ხელის დაღება პატიოსნებისათვის ხელშეწყობა; გადატ. პატიოსანი მოქაცევა, პატიოსნობის დაჩიმება.

პატრონის ჩაბარებას – გათხოვებს, ქმარს, მეუღლეს ჩაბარეს.

პატრონის ჩაბარდა – 1. მოქვდა, გარდაიცვალა. 2. გათხოვდა, ქმარს გაჰყვა.

პერანბის ამხანაგი – ქვედა საცვალი, ნიფხაკი, საწმერთული.

პილატეს ცრემლ(ებ)ი – ცრემლი, რომელიც წარმოედინა თვალთაგან პონტოელ პილატეს; გადატ. არაგრძელება, ფარისევლობა.

(პილატესავით) ხელ[ებ]ს დაიბანს პასუხისმგებლობას მოიხსნის, ბრალს აიცილებს; საქმეში არჩაერევა, განზე გადგება.

პილატილმოყრილი მადლი – გადატ. დაყველრებული.
ლანძლვადატანებული სიკეთიე.

პილატილს მოაყრის – გადატ. შწარე-მწარე სიტყვებს
ეტყვის.

პირად დათქმა – გადატ. პირიდან წამოცდენა.

პირველ ნაბიჯს დგამს – რამე საქმეს იწყებს,
პირველად გამოდის (ასპარეზზე).

პირველ რიბში – უპირველესად ყოვლისა.

პირველ ხანებში – დასაწყისში, თავდაპირველად.

(პირველი, მეორე...)
მამლის ყივილი – ღამის
ის მონაკვეთი (გათენების ხანი), როდესაც მამალი (პირვე-
ლად, მეორედ...)
ყივის.

პირველი მერცხალი – გადატ. მოქმედების წამომ-
წყები, თაოსანი, ინიციატორი.

პირველი ნაბიჯ[ებ]ი – გადატ. რამე საქმიანობის,
მოღვაწეობის დასაწყისი.

პირველი ღამის უფლება უფლება, რომლის
ძალითაც მებატონეს შეეძლო აეჭულებინა თავისი ყმის
ახალშერთული ცოლი ქორწილის პირველ ღამეს თავისთან
დაუტოვებინა.

პირველი ძილი – ახალჩაძინებულის რული.

პირზე აკერია (ვინე, რამე) – ერთთავად ერთ-
სა და იმავეს ამბობს, თითქოს სხვა სათქმელი გაუწყდაო.

პირზე ბოქჩომის დაღება იგივეა, რაც პირზე
კლიტის დადება.

პირზე დაუდგრომელი – გადატ. 1. ვინც პირობას
არღვევს. ვინც მიცემულ სიტყვეას არ ასრულებს. 2. საი-
დუმლოს არ [კერ] შემნახველი.

პირზე, ენაზე აპერია – გადატ. წარამარა ახსენებს, ხშირად იმეორებს.

პირზე (ენაზე) ეპერა – წარამარა ახსენებდა, ხშირად იმეორებდა.

პირზე კლიტე აღევს (დაედება...) ვერ ბედავს (რამის) თქმას.

პირზე კლიტე დაედება – ხმის ამოლების საშუალება მოესპობა, ლაპარაკი აუკრძალება.

პირზე კლიტე ედო – ლაპარაკის უფლება არ ჰქონდა, ხმის ამოლების საშუალება მოესპო, თქმა არ შეეძლო.

პირზე კლიტეს დაადებს – გადატ. თქმის საშუალებას მოუსკობს, - ლაპარაკს აუკრძალავს.

პირზე კლიტეს დაიდებს – გაჩუმდება, არაფერს იტყვის, ხმას არ ამოილებს, დაშუნჯდება.

პირზე კლიტის დადება – გადატ. გაჩუმება, დაღუმება, ხმის ჩაწყვეტა, ენაზე კლიტის დადება, დაშუნჯება.

პირზე კოცნა – გადატ. სიყვარული, აღერსი, მოფერება.

პირზე მოადგება – სათქმელად მოუვა, თქმა მოუნდება, ენაზე მოადგება.

პირზე მომდგარი სიტყვა – სათქმელად, წარმოსათქმელად მომზადებული სიტყვა.

პირზე მური ჩამოისვა – გადატ. თავს გვარიდებს, არ გვეკარება. რცხვენია მსგავსად მურწამოსმულისა.

პირზე რჩე არ შემრობია – იგივე, რაკ რჩე არ შემრობია ბაგეზე.

პირზე (სახეზე) ზაფრანის ჭვეთები ჩამოსდის – ცხვირ-პირი ჩამოსტირის, უუმურია.

პირზე (ტუჩებზე) ხელს დააფარებს - გასა-
წუმებლად პირზე (ტუჩებზე) ხელს დაადებს.

პირზე ტყავს აიხდის - გადატ. სულ მოლად გაი-
ყიდება, გატყავდება, უკანასკნელს გაიღებს.

პირზე ტყავს ჩამოაცლის - გაყვლეფს, გაძარცვავს,
ტყავს გააძრობს.

პირზე ღიმი გადაეშლება - პირზე ღიმი გადა-
ეჭინება, გაიღიმებს, გაიბადრება.

პირზე ცეცხლის წაკიდება - გადატ. გაბრაზება,
გაცეცხლება, წყენა, გულის მოსვლა.

პირზე ხელის აფარება გადატ. სახის დამალვა,
სასირკვილო საქმის ჩადენა, აუგიანობა.

პირზე ხელის დაფარება (ვინესთვის) -
გადატ. ლაპარაკის, თქმის აკრძალვა, გაჩუმება, დადუმება
(ვინმესი).

პირზე ტყავის აძრობა - გადატ. შეწუზება (ვინ-
მესი), თვის მობეზრება (თხოვნით, წვეწნით, საჩივრით).

პირი არ აჩვენა (ვინეს) - გადატ. ტკბილად არ
მოეპყრა, არ მოეალერსა.

პირი არ მეღვება - გადატ. დადარღიანებული ვარ,
დამწუხრებული, ლაპარაკის თვი არა მაქვს.

პირი არ დაგრვას! - გადატ. ვერ მოგართვეს! ვერ
ეღირსები!

პირი გამოირეცე - გადატ. შენგან არ ეგების, ამა
თუ იმ ღირსეულ ადამიანზე ილაპარაკო, შენი სახსენებელი
არ არის.

პირი გაუშავდება - გადატ. პირი შეურკვება, შე-
რცხვება.

პირი ეფბილება – პირშაკად გრძნობს თავს, ერცხვინება.

პირი იბრუნა – გადატ. ურთიერთობა უარყო, მეგობრობაზე ხელი აიღო, მტრად გადაეკიდა, შიატოვა, თავი გაანება. 2. გამედიდურდა.

პირი იმ ქვეყნისაკენ აქვს მიბრუნებული (ავალებოვს) – გადატ. არ მორჩება, სასიცოცხლო აღარ არის, მალე მოკვდება. ას ქვეყნისა აღარაა.

პირი (პრიჭა) გახსნება – დალაპარაკებას შეძლებს, ხმას ამოიღებს.

პირი მიყო მიწამ – გადატ. დავიღუპე, მოკვდი.

პირი მიჰყო – გადატ. გალანძლა, გათაოხა.

პირი ნუ დაგილია – გადატ. მარჯვედ იყავ, გაინძერ, გონს მოდი. ნუ ხარ დოყლაპია.

პირი (პირზე) აენთება – სახე წამოუწითლდება (სიბრაზის, სიხარულის, სირცხვილის... გამო).

პირი საფლავისაკენ აქვს – მალე მოკვდება, სიკვდილის პირზეა.

პირი, სიტყვა შეეპვრება – ვერაფერს იტყვის, ენას ვერ დაძრავს, - დადუმდგება.

პირი უტყდება მიცემული სიტყვა ვერ უსრულდება, პირობას არღვევს. პირი ეშლება.

პირი ფყლითა აქვს საპსე – გადატ. ლაპარაკის, თქმის შესაძლებლობა, საშუალება არა აქვს.

პირიდან ამოშვება – გადატ. გაბედვა ლაპარაკისა, ხმის ამოღება.

პირიდან დორბლების ყრა – იგივეა, რაც პირიდან ცეცხლის ყრა; გაბრაზებულის ემოციური მეტიველება.

პირიდან თაფლი გადმოსძის – გადატ. ტები-ლაქი, ალექსისად, სასიმოვნოდ ლაბარაკოს, ტებილი საუბარი იცის. ჩამტყბარი ენა აქვს.

პირიდან ლუკმას აცლის (სტაცებს...) – გადატ. უკანასკნელ, საარსებო საშუალებას სტაცებს, ართ-მეტს.

პირიდან ლუკმას იღებდა და იმას აჭმევ-და გადატ. თვითონ იკლებდა და სხვას აძლევდა, მოყვასი თავის თავს ერჩივნა.

პირიდან ლუკმის გამოცლა – გადატ. უკანასკნელ საარსებო საშუალებათა წართმევა, მშრალზე დატოვება.

პირიდან (პირში) ლუკმას გამოაცლის – გადატ. უკანასკნელ ლუკმას წართმევს; მთელ სარჩო-საბადებელს გამოაცლის ხელიდან; აღარაფერს დაუტოვებს.
(პირიდან) სიტყვას გამოაცლის – გადატ. ლაპარაკში შეეჩრდება ვინმეს, ლაპარაკს არ დააცლის, სიტყვას წაართმევს.

პირიდან ქვას ისვრის – გადატ. სამარცხვინოდ გაიქცევა, კუდით ქვას ასროლინებენ.

პირიდან შაქარი ამოსძის – იგივეა, რაც პირიდან რაფლი გადმოსძის.

პირიდან ცეცხლის ყრა – გადატ. უზომო გულმოსულობა, განჩხლება, სიკრუე, გამრაზება, გაბოროტება, რისხვის სიტყვების წამოსროლა, წყრომა, გაჯავრება.

პირიდან ცეცხლს ისვრის – გადატ. პირიდან ცეცხლს ყრის.

პირიდან ცეცხლს, (ცოფებს) ყრის (ისვრის) გადატ. მეტისმეტად ჯავრობს, ბრაზობს.

პირიდან ცეცხლს ყრის – გადატ. განრისხებულია, გააფთრებულია, გაანჩხლებულია, ცოფებს ყრის; ყიჩალია, მკვირცხლია, შეუკოვარია.

პირიდან ცოვებს ყრის – იგივეა. რაც კოჭებს ყრის პირიდან.

პირის აპვრა – გადატ. გაჩუმება, დაღუმება. განგიბ ხმის გაქმნდა, არაფრის თქმა.

პირის არიდება – გადატ. 1. პირის განზე მიბრუნება, დანახვის უნდომლობა. პირისპირ შეუყრელობა, პირისპირ შეხვედრის არიდება. 2. დახმარებაზე, შეელაზე უარის თქმა, მეგობრობის გაწყვეტა.

პირის ახსნა – (ჭამის) პურობის დაწყება; მარხვის შემდეგ პირველად სახსნილოს მიღება.

პირის ბრუნება – პირის შექცევა; გადატ. გაწყრობა, მტრობა, ბოროტების მიგება; უკან წამოსვლა.

პირის გასველება – გადატ. რამე ხილის, უპირატუ-სად წყლიანის მირთმევა.

პირის გატეხა – გადატ. პირობის დარღვევა, დანა-პირების, ნათქვამის შეუსრულებლობა, სიტყვის გატიხა, ლა-ლატი.

პირის გაშავება – გადატ. თავის შერცხვენა.

პირის გახსნა – გადატ. ხმის ამოღება, ლაპარაკის დაწყება, კრიჭის გახსნა.

პირის გემო – პირის სიტყბო; გადატ. ნარჩევი საჭ-მელ-სასმლის სიყვარული.

პირის დაღება – პირღიად დარჩენა; გადატ. გაოცება, გაკვირვება, სახტად დარჩენა, უზრუნველობა, უდარღელობა.

პირის დაყოფილება (პირი დააყოფინა) -

გადატ. ვინმეს გაჩუმება, დამუჯება, დანაშაულში მხილება, ძრალეულად გამოყვანა, თავის გასამართლებელი საშუალების მიუცემლობა, დამნაშავისათვის უტყუარი საბუთის წამოყენება.

პირის ზიარება - გადატ. წმინდა რამ, ქვირფასი, ჩემსავის სიკეთის მომნიჭებელი, ჩემი გამაბედნიერებელი.

პირის მიპარება (საჭმლისათვის) - პირის შეხება საჭმლისათვის; მცირედის შეჭმა.

პირის მორიდება - გადატ. მიტოვება, ხელის აღება, ზურგის შექცევა.

პირის მოყოფა - გადატ. პირის დაღება და დაუსრულებელი ლაპარაკი.

პირის მოშვება - გადატ. ალაპარაკება, ყბედობის დაწყება.

პირის მოშლა - შეთანხმების, დათქმული პრინციპების დარღვევა.

პირის მოჭმელა - სხვადასხვა დამამტკიცებელი საშუალებით კინმესთვის შერცხვენილი ნამუსის, ავტორიტეტის, აღდგენა.

პირის მოჭერა - გადატ. გაჩუმება, არაფრის თქმა (რამის შესახებ).

პირის მოხსნა - გადატ. დაწყება გაუთავებელი ყბედობისა, ლაქლაქისა.

პირის პატივი - კარგი სჩა-ჭამა.

პირის სანახავი - მოსაკითხი, საჩუქარი ახლად გათხოვილი .ან მშობიარე ქალისათვის.

პირის ქარის გაშლა – გადატ. ალაპარაკება, ხშის ამოღება.

პირის ქარს გააშლევინებს ხმას აძოალე-ბინებს, - აალაპარაკებს.

პირის შეკვრა – გადატ. ურთიერთშეთანხმება: სიტყ-ვის მიცემა.

პირის შერცხვენა გადატ. დაპირუბულის შეუს-რულებლობა, სასირცხვილო საქმის ჩადენა.

პირის შეჩვევა – გადატ. გათამამება, მოურიდებელი ლაპარაკის დაწყება.

პირის ჩატკბარუნება – გადატ. სხვადასხვა ნუგ-ბარის მიღებისაგან გამოწვეული სიამოვნების განცდა; ტკბი-ლით გასრულება ჭამისა.

პირის ფყალი – გადატ. სინდისი, ნამუსი, პატიოსნება.

პირის ფყალი გაუშრება – გადატ. შერცხვება, სახელი გაუტყდება.

პირის ფყლის გაშრობა – გადატ. შერცხვენა, სახე-ლის გატეხა.

პირპატა ეცვება – რამე მოულოდნელი შემთხვევის გამო ძლიერ შეწუხდება, - თავზარი დაეცემა, ელდა ეცემა.

პირნათლად გამოსვლა – თავისი სიშართლის დამტკიცება; თავის გამართლება, უდანაშაულობის დამტკი-ცება.

პირობას (სიტყვას) ჩამოართმევს დაპირი-ბას მოაცემინებს, დაპირებას გამოსძალავს, სიტყვას მოაცი-მინებს.

პირობას შეინახავს – პირობას დაიცავს, სიტყვას არ გატეხს.

- პირობის შეკვრა** – პირობის დადება, შეთანხმება.
- პირს არ აპარებს** – არ ჭამს.
- პირს არ დააყენებს** იგივეა, რაც ენას არ დააყენებს; გადატ. განუწყვეტლივ ჭამს.
- პირს არიდებს, თვალს არიდებს** – პირს იძრუნებს; ცდილობს არ შეხედოს; თითქოს ვერ ხედავს.
- პირს აუზყობს** – ალესილ პირს ტყავზე ასმით მოასწორებს.
- პირს აქნევინებს** – სურვილისამებრ პირს შეაბრუნებინებს; მოაბრუნებს (მიაბრუნებს); მიმართულებას აცვლევინებს.
- პირს გაატეხინებს** – პირობას, სიტყვას დაარღვევინებს.
- პირს გაიშავებს** – გადატ. თავს შეირცხვენს, სიტყვას გატეხს, პირობას დაარღვევს.
- პირს გაიხსნილებს** მარხვის შემდეგ პირველად შეჭამს, სახსნილოს.
- პირს გატეხს** – პირობას დაარღვევს; უღალატებს.
- პირს, ენას იჯვავს** გადატ. გაცხარებით, გაწიწმატებით ღაპარაკობს.
- პირს (ენას) შეაჩვევს** – მოურიდებლად თქმას მიეჩვევა, სიტყვით არ მოირიდებს.
- პირს ვერ მოსმენდს** – გადატ. მცირეა, არ ეყოფა, მის გაჭირებას ვერ უშეველის, არასაქშარისია.
- პირს იბრუნებს** – გადატ. 1. მიმართულებას შეიცვლის, საპირისპირო მიმართულებით წავა. 2. გადავა ვინმეს მხარეზე. 3. ხელახლა იჩენს თავს, შეუბრუნებს (ავადმყოფობას).

პირს იპიღებს (რამეზე...) – ძალიან მჭრელია, ბასრია.

პირს იჯვავს – გადატ. ჯაყრობს, გაკარებით ლაპარაკობს, ენას იწვავს.

პირს პატა ეცა–გადატ. გაოცდა, სახტად დარჩა (არასა-სიამოვნო მოულოდნელობისაგან).

პირს პატა ეცემა – უსიამოვნო მოულოდნელობისა-გან გაოცდება, სახტად დარჩება.

პირს (პბილს) არ (ვერ) დააპარებს – გადატ.

პირს არ (ვერ) შეახებს, კბილს არ (ვერ) დაადგამს, – არ (ვერ) შეჟამს.

პირს მიპყოფს – დაიწყებს (ჭამას).

პირს მოსოდენელს – გადატ. იგივეა, რაკ ნამუსს მოსწმენდს.

პირს მოარიღებს – პირს მიიბრუნებს. თითქოს ვერ დაინახა (ვინმე, რამე).

პირს მოხსნის (მოიხსნის) – გადატ. დაიწყებს. წამოიწყებს.

პირს მოპანს – გადატ. უშველის, დაეზმარება.

პირს პირი მისცეს – შეთანხმდნენ, ერთმანეთს მხ-არი დაუჭირეს.

პირს უბრუნებს – სხვა მიმართულებით წაიყვანს, წარმართავს.

პირს უპან ფაიღებს გადატ. არ დალევს ან არ შეჟამს, დაიწუნებს, უარს იტყვის.

პირს უპუარიღებს – გადატ. განზე გაუდგიბა, ხურგს შეაქცევს.

პირს უტეხს – პირობას ურღვევს, დაპირებულს არ უსრულებს.

პირს უჩვენებს – გადატ. კარგად, მხიარულად, გულ-ლიად შეხვდება.

პირს (ყბას, ხახას...) დააღებს – გადატ. გაურკვევ-ელ, ინდიფერენტულ მდგომარეობაში ჩავარდება, უაზროდ იქნება. გაშტერდება; უმოქმედოდ იქნება.

პირს (ყელს...) ისველებს – ცოტას სვამს, ცოტას ჭამს (რამე წვნიანს).

პირს შეაპვრევინებს – აიძულებს, რომ პირი შეკ-რან.

პირს შეირცხვენს – შერცხვება, სასირცხო საქმეს ჩაიდენს.

პირს შეპრავს – გადატ. შეთანხმდება, სიტყვას მის-ცემს.

პირს ჩაიგემრიელებს – გემრიელ რამეს შეჭამს; პირს ჩაიტკბარუნებს, ჩაიკოკლოზინებს.

პირს ჩაიტკბარუნებს – ტკბილ (გემრიელ) რამეს შეჭამს; პირს ჩაიგემრიელებს, ჩაიკოკლოზინებს.

პირს (ხელს) არ აყენებს – არ აჩერებს; გადატ. 1. მუდმივად ჭამს, მიირთმევს. 2. განუწყვეტლივ მუშაობს.

პირჩვე დამხობა (ვინაისი, რამისა) – გადატ. განალგურება, დათრგუნვა, დამხობა.

პირღია დარჩება – გადატ. მეტისმეტად გაუკვირდ-ება რამე, გაოცდება, განცვიფრდება.

პირშავად არის (გამოვა, ივლის...) პირობას, ფიცს არ შეასრულებს, უპატოოსნოდ მოიქცევა, თავს შეორცხ-ვენს, სამარცხვინო მდგომარეობაში აღმოჩნდება.

პირშავი ლობით – გადატ. პირობის, ფიცის გამტეხი,
- უპირო, შერცხვენილი.

პირშებრუნებული სალაში – სახემიბრუნებული,
პირშექცეული მისალმება.

პირშეპრული ყოვა – დამუნჯება, ხმის გაუციმლო-
ბა.

პირშეგურული ყოვა შერცხვენილი, გაკიცხული
სახელით ცხოვრება.

პირში აფურთხებას – გადატ. ლანძღავს, არცხვენს,
შეურაცხყოფას აყენებს.

პირში ბურთი სჩრია - გადატ. ხმის ამოღების,
სიტყვის თქმის საშუალება არა აქვს, დამუნჯებულია.

პირში ბურთის ლაცობა – იგივეა, რაც პირში
ბურთის ჩაჩრა, დამუნჯება.

პირში ბურთის ჩაღება – იგივეა, რაც პირში
ბურთის ჩაჩრა.

პირში ბურთის ჩაჩრა – გადატ. გაჩუმება. ხმის
ჩაწყვეტინება, რამის თქმის საშუალების მოსპობა, დამუნჯე-
ბა.

პირში ბურთის [ჩა]სჩრის – გადატ. ხმას არ აღე-
ბინებს, აჩუმებს, ამუნჯებს.

პირში გაიჩრის - გადატ. სალაპარაკოდ გაიხდის,
ყბად აიღებს.

პირში გემო პერია, პირში გემოს ქონა -
გადატ. კარგის ავისაგან გარჩევის უნარი; კარგი გემოვნე-
ბისა ყოფილა, გურმანი.

პირში (გულში...) ტყვიას ჩაიღულებას – არ
გამოტყდება.

- პირვენ დადგომა** – იგივეა, რაც პირზე წადგომა.
- პირვენ ენა აღარა აქვს** – გადატ. ლაპარაკის უნა-რი წართმეული აქვს, ვეღარ ლაპარაკობს. იტყვიან გადამთვრალ აღამიანზე.
- პირვენ (ერთ) ლუკმას არ ჩაიღებს** – არაფერს შეჭამს. არაფერს გასინჯავს.
- პირვენ (ერთმანეთს) ფაუჩენებს** – ორ ან რამ-დენიმე პირის სიმართლის გამოსარკვევად პირისპირ აღა-პარაკებს.
- პირვენ ეტყვის** – პირდაპირ, დაუფარავად, აშკარად, მოურიდებლად ეტყვის.
- პირვენ ეუბნება** – პირდაპირ, დაუფარავად, აშკარად, მოურიდებლად ეუბნება.
- პირვენ თითგამოვლებული** – გადატ. ცარიელი, უარაფეროდ დარჩენილი.
- პირვენ თქმა** გადატ. პირუთვნელად, მოურიდებლად, პირუაპირ, გულახდილად, დაუფარავად თქმა (კინძესთვის).
- პირვენ პაპის ამოდება** – გადატ. გაჩუმება, ზმის ჩაწევეტა, რამის თქმის საშუალების მოსპობა, პირში ბურ-თის ჩაჩრა.
- პირვენ ლაბამის ამოდება** – გარკვეული შეზღუდვა გაუთავებელი ლაქლაქისა და რატრატის მოყვარულთათვის.
- პირვენ ლუკმა არ ჩასცდენია** – არაფერი უჭა-მია, უგამნია, გაუსინჯავს.
- (პირვენ) ლუკმას უთვლის** – გადატ. საჭმელს აყვედრის.
- პირვენ მთეველობა** – პირში მიხლა სათქმელისა; პირში თქმის უნარი, პირდაპირობა.

პირზი მიახლის – პირში ეტყვის, პირდაპირ, მოუ-
რიდებლად ეტყვის.

პირზი მივარდება იგივეა, რაც პირში ეცემა.

პირზი მივურთება – გადატ. დამცირება, შეურიაკ-
ხეოფის მიყენება.

პირზი მიხლა – გადატ. უხეშად, უკმეხად თქმა (რა-
მის).

პირზი ხერჯყვი მოსდიოდა – გადატ. დიდი სურ-
ვილი, გადამეტებული ნდომა.

**პირზი (პირიდან) სიტყვას ართმევს (აღ-
ლის)** – ლაპარაკის დამთავრებას არ აკლის, თვითონ
იწყებს ლაპარაკს, საუბარში ეჩრება.

პირზი, სახეში მიავურთებას გალანძლავს.
შეარცხვენს, შეურაცხყოფს.

(პირზი) სიტყვა გაუჭყდება – ხმას კელარ
ამოიღებს, თქმას ვეღარ შეძლებს, გაჩუმდება.

პირზი სიტყვას აღყვეტილებს – ლაპარაკს არ
ამთავრებინებს, სიტყვას აწყვეტინებს.

(პირზი) სული ედგა – გადატ. ჯერ კიდევ კოცხ-
ალი იყო.

პირზი სული უდგას – გადატ. ცოცხალია. არსებობს.

პირზი სულის ამოძრობა – იგივეა, რაც სულის
ამოხდომა.

პირზი სჭვდა – პირში ჩაუვარდა; გადატ. თქმა არ
დაცალა, ლაპარაკს ხელი შეუშალა, უცბად გააჩუქრა.

პირვენ უვარდება (ვინგეს) – გადატ. სხვას ლაპარაკის, არ აცლის, სულ თვითონ უნდა ილაპარაკოს, სხვას სიტყვას არ ათქმევინებს.

პირვენ უთხრა – პირდაპირ. დაუფარავად, აშკარად, მოურიდებლად უთხრა.

პირვენ უდეა ჩაუდო – გადატ. უშნოა, უნდილია, უფხოა, მოხერხება აკლია, მოუხერხებელი და თავმოუბმელია; ყოველივე მზამზარეულის მოლოდინშია.

პირვენ (ყელვი...) ჩაუშვებას – გადაყლაპავს, გადასანსლავს.

პირვენ ყურვება – გადატ. პირფერობა, ლაქუცი, მლაქვნელობა, მოფერება, სიამოვნების მინიჭება გამორჩენის მიზნით.

პირვენ შემომცერის – პირში მიფურებს; გადატ. 1. ჩემი იშედითაა, ჩემგან გამოელის შველას, ხსნას, დახმარებას. 2. ერთგვარი კონტროლი.

პირვენ ჩააფურთხებას – გადატ. გალანძლავს, შეარცხვენს.

პირვენ ჩაგდება – გადატ. ვინმეს სალაპარაკოდ და სასყვიდუროდ გახდომა.

პირვენ ჩალაგბამოვლებული – გადატ. იმედგაცრუებული, მოტყუებული, ცარიელზე დარჩენილი.

პირვენ ჩალას ავლებას – იმედს უცრუებს, ხელცარიელს ტოვებს.

პირვენ ჩალას გამოავლებას – გადატ. გააწბილებს, მოლოდინს გაუცრუებს, მოატყუებს.

პირვენი ჩალის გამოვლება – გადატ. მოწყუება, გაწმილება, იმედის გაცრუება, ხელცარიელი დატოვება, კარიელზე დასმა.

პირვენი ჩალის გამოსმა – იგივეა, რაც პირში ჩალის გამოვლება.

პირვენი ჩაუვარდება – მისი კერძი, საკუთრება გახდება.

პირვენი ჩაფურთხება (ვინევსთვის) – გადატ. შერცხვენა, აუგიანად აღიარება, ყოველი ღირსების წარომეტვა.

პირვენი ფალგომა – თვალში თვალის გაყრა; გადატ. დაპირისპირება, მხილება, დანაშაულის დაბრალება, ბრალება; ლად გამოყვანა, გამტყუნება, პირდაპირ თქმა (რამის).

პირვენი ფაყენება – გადატ. დაპირისპირება (პირის-პირ შეყრა) ნათქვამის სისწორის შესამოწმებლად.

პირვენი ფყალს ჩაიგუბება – გადატ. იგივეა, რაც პირში წყალს დაიგუბებს, გაჩუმდება, ხმას არ გაიღებს.

პირვენი ფყლის გაშრობა – გადატ. უსირცხვილობა, უსინდისო საქციელი, ავკაცობა. ბოროტება, უსამართლობა.

პირვენი ფყლის დაგუბება – გადატ. გაჩუმება, ხმის გაქმნდა, არაფრის თქმა.

პირვენი ფყლის ჩაყენება – გადატ. გაჩუმება, ღიაპარაკის შეუძლებლობა, მდუმარება, ხმის ამოუღებლობა.

პირვენი მამაკა! – გადატ. სავსებით მამასა პგავს, ნამდვილი მამა, მამის ასლია.

პირვენი მოუვიდა დლომით – გადატ. ძალიან მოუნდა.

- პირჯვარს გამოისახავს** – იგივეა, რაც პირჯვარს დაიწერს.
- პირჯვარს სფერს** – ჯერის გამოსახვით ლოცავს.
- პურად დაჯდომა** – კადატ. ჭამა-სმის დაწყება.
- პური არსობისა** – გადატ. საჭირო, აუცილებელი საზრდო ჩვენი ცხოვრებისათვის.
- პური აღარ იშმევა შენთან** – გადატ. უსინდისო ხარ, აუგიანი, შერცხვებილი.
- პური აღარ მიშამია!** – გადატ. და ირონიულად: დავიღუპები, რაღა მეშველება.
- პური ერთად გაგვითხვია** გადატ. პური ერთად გვიჭამია; ერთად გვიკავრია, ერთმანეთის მახლობელნი, მეგობარნი ვართ.
- პური შია (პური მოშივდება)** – იგივეა, რაც შია (მოშივდება).
- პურის პუტი ენატრება** – გადატ. ძალზე გაჭირვებულია, ნახევრად მშიერია.
- პურის (მშადის) გასატეად** – გადატ. პურის საჭმელად.
- პურის სახელის დავითხება** – გადატ. მეტის-მეტად გართულ მდგომარეობაში ყოფნა.
- პურის ფილ ქვის მიცვება** – გადატ. ბოროტება, გულქუპანბა, შეუბრალებლობა, ულმობლობა.
- პურის ჭამა დანაყრება, საზრდოს მიღება.**
- პურმარიცის დავითხება** – გადატ. პატივისცემის დავიწყება, სიკეთის დაუხსომლობა.
- პურს ჭამს** – საჭმელს შეექცევა; თავს ირჩენს, თავი გააქვს.

პურს გატეხეს – გადატ. ვიწმესთან ერთად პურს შეჭამის.
პურს მაჭმევს გადატ. მარჩენს. შემინახავს. მაცხოვრებს.

**პურსა და წყალზე ყოვნა – მხოლოდ პურითა
 და წყლით საზრდოობა; გადატ.** მცირედი ზარჯით არსებობა, თავის რჩენა.

პურლვინისათვის ფეხი დამიღგა გადატ.
 ჩემი პატივისცემა დაივიწყა, უკუაგდოო.

ქ

შამთა ტრიალი, შამთა ცვლა – უამის, დროის ცვალებადობა, დროთა ბრუნვა.

შამთა სვლა – დროის მიმღინარეობა.

შამთა სიავვა – დროების მიერ მოტანილი უბედურება; გადატ. უბედობა, უკუღმართობა.

შამი განკითხვის დღე.

შამი დარჩეპავს – გადატ. დრო დადგება.

შამი ჩამოჰკრავს – დრო მოვა, დადგება.

შამიერი გატაცება – დროებითი, მცირე წნით გატაცება.

შამის ფირვა – გვიანი წირვა.

შამპარს აურევს – საქმებს აუწეწავს, გზა-კვალს აუბნებს, დავთრებს აურევს.

შანგი ეპილება – ძველდება, გამოუდევარი ხდება.

შანგიანი გული – დარღიანი გული.

შივილ-ხივილი (ხმაურობა) აუდგებათ – ახმაურდებიან, გამხიარულდებიან.

შინს ამოიყრის – ჯავრს ამოიყრის, სამაგიეროს გადაუხდის.

შინს მოიპლავს – სურეილს აისრულებს.

შიშმატიანი ქაღალდი – ზორკლიანი, მქისე ზედაპირის მქონე ქაღალდი.

შიშო თვალები – უუჟუნა თვალები.

შრუანტელი ურბენს [ტანზი] – ურუანტელი უვლის მთელ სხეულზე, უსიამოვნო გრძნობა იპყრობს.

რა აღალება დაპირობდა? – გადატ. რა დაემართა,
რა მოუვიდა? რამ შეაშინა?

რა აღის ქარი ჩაგივარდა პირზი? რად
გაჩუმებულხარ? ხმა ამოიღე!

რა (ამ, მაგ) სიტყვის პასუხია რა სათქმე-
ლია, ამის თქმა როგორ შეიძლება.

რა ამ სიტყვის პასუხია! – შესაფერი პასუხი არ
არის; გადატ. შეუფერებელი, უხამსი, არგამოსაჩენი.

რა ბედნენაა? – გადატ. რა განსხვავებაა? რა მნიშ-
ვნელობა აქვს? სულ ერთია!

რა ბუზი დაპჯდა – იგივეა, რაც რა ბუზმა უკბინა.

რა ბუზმა გიპბინა!? – გადატ. რამ გაგამწარია, რას
ცხარობ, რა გული მოგდის?!

რა ბუზმა უპბინა რა დაემართა, რატომ იქცევა
ასე უცნაურად.

რა გველი შეუფვა! გადატ. რა აწყენინა! რა
დაუშავა!

რა გინდა სელო და გულო!.. – გადატ. ყვე-
ლაფერი, რაც ადამიანს მოუნდება, მოესურვება.

რა დაგითესია, რასა მპი!? – გადატ. არაფერი
გაგიკეთებია და არც უფლება გაქვს მოითხოვო.

რა დარჩენია (საღმე) – არაფერი საქმე აღარა
აქვს. არაფერი აღარ აკავშირებს (რომელიმე ადგილთან).

რა დაპკარგე, რას მძმებ – გადატ. იმას ეძებ. რაც
არ დაგიკარგავსო, არა დაგიკარგავს რა, მაშასადამე, არც
უნდა ეძებოო, არაფერი გქონია.

რა დიდს იძახი - გადატ. რა თავი მოგაქვს, რას შერაბახობ?!

რა დროს (რამეა), რა დროსია რამის ჩადენა (თქმა, პეტება...) - დროს და უმის შეუფერებლად.

რა დღეს, რა ხვალ! - გადატ. თუ დღეს არა, ზვალ აუკილებლად აღსრულდება, მოხდება; არ ასცდება, უკვე-დად მოხდება რაშე, სულ მალე..

რა ეცხმლება - გადატ. რას დაეძებს, რას დაგიდევს. (მისთვის რა მნიშვნელობა აქვს, რატომ აიტკიცებს თავს).

რა ხსარჯება - გადატ. რას კარგავს, რა ენალვლება.

რა თავში იზყვეტს - იგივეა, რაც თავში იხლის.

რა თავში იხლის! - გადატ. რად გამოადგება!?

რაში სჭირდება!?

რა თვალზე ნახა?! - გადატ. ერთი ნახვით, ერთი შეხედვით რა ასეთი შთაბეჭდილება დატოვა?!?

რა თქმა უნდა - თქმა არ არის საჭირო, მტკიცება ზედმეტია, რაღა ლაპარაკი უნდა, უთქმელადაც გასაგებია.

რა ისეთი აღდგომის ფითელი კვერცხია?

რა უპირატესობა აქვს? ასეთს რას წარმოადგენს?

რა ლარი და ხაზი უნდა - გადატ. 1. რა განსჯა, შეტასება სჭირდება, ცხადია, ნათელია. 2. რა დიდი საქმეა, ძნელი არაა.

რა მაგ სიტყვის პასუხია - ჩართული გამოთქმა; იწყვიან, როდესაც საუბარი სულ სხვა თემაზე გადააქვთ.

რა მიარბენინებს - გადატ. რა აიძულებს ამ საქმეში ჩართულობას?!?

რა მიძნია!? – გადატ. მეტი საქშე არა მაქვს, ას გაკა-
თო! ან რად უნდა ვაკეთო?!

რა მიზაში ჩავიღეს! – გადატ. რა ქნას!? როგორ
მოიქცეს!? რა გზას დააღეს, რით უწამლოს?!

რა მოარბენინებს – გადატ. რა აიძულებს ამ სიტუა-
ციაში, მოქმედებაში ჩართულობას?! მონაწილეობის მიღე-
ბას?!

რა მოსატანია (მოსატანი არ არის) რა
სათქმელია, რა საკადრისია.

რა პასუხია! რა სიტყვის პასუხია! ჩართუ-
ლი გამოთქმაა; გამოხატავს გაკიცხვას, უკმაყოფილებას,
შეუთანხმებლობას, - რა სათქმელია! რა სახსენებელია! რა
მოსატანია!

რა პირით გეჩვენო – გადატ. მრცხვენია, ვეღარ
შემოგხედავ.

რა პირით ეუბნება – როგორ უბედავს, როგორ
ეუბნება; სირცხვილით როგორ იღებს ხმას?!

რა (რაღა) გაეფყობა! არაფერი გაეფყო-
ბა! – არაფერი ეშველება; სხვა გამოსავალი არ არის.

რა რჯის – რა აიძულებს, რა ესაქმება, რა ძალა აღგას.

რა სათქმელია! – თქმადაც აღარ ღირს; გადატ.
უაზრობაა, უჰქუობაა, უანგარიშობაა, ზედმეტია.

რა საქმე აქვს – იგივეა, რაც რა ესაქმება.

რა საქმელია! – რა გასაკეთებელია? გადატ. ცუდია.
დასაგმობია, სააუგოა, საძრახისია, სირცხვილია.

რა სახსენებელია! – სახსენებელიც არ არის. რა
მოსატანია! რა სათქმელია!

- რა სულიას ბამიშლი?! -** გადატ. რისი თავი გაქვს?!
რა პატივს მცემ; რა სიკეთეს მიზამ?!
რა ვასი აქვს - გადატ. რა მნიშვნელობა აქვს.
რა ქართულია? - რა სიტყვაა, რა ნათქვამია?
რა ქარმა მოაგდო? - რამ მოიყვანა? რამ მოაფ-
იქრებინა მოსკლა? როგორ მოხდა, რომ მოვიდა?
რა ქარმა მოგაგდო? - რომელმა ქარმა წამოგის-
როლა?! საიდან, როგორ მოსულხარ?
რა ღმერთი უჭყოება? - რა ემართება, რა მოს-
დის?
რა ყოვაშია, რა ყოვა აქვს (ამ ყოვაშია)
რა ამბავშია, რა აურზაური აქვს ატეხილი (დიდ ამბავშია,
დიდი ხმაური აქვს ატეხილი).
რა ყრია? არავერი ყრია - რა სარგებლობა
აქვს? რა მნიშვნელობა აქვს? რა არის? რა ბედენაა?
(არაფერია, არაფერი ბედენაა).
რა შავ ქვას ვახალო თავი? - რაღა ვქნა! რა
წყალში ჩავვარდე! რა გზას ვეწიო?!
- რა შედარებაა! -** დიდი სხვაობაა, სულ სხვადასხვაა.
რა შენი (მისი) საქმეა, შენი (მისი...) საქმე
არ არის! არ გეხება, არ შეგეფერება (არ ეხება, არ
შეეფერება...).
- რა შენი (მისი) ჭკუის საქმეა -** რა შენი
(მისი) საქმეა, რა გესაქმება (ესაქმება).
- რა შვილია! -** გადატ. რა კაცია!? კაი ვინმეცაა!
ვერაფერი ვაუკაცია! არაფერია! ადამიანური ღირსება აკლია,
უკითხურია, ხელიდან სიკეთე არ გამოუვა, გაიძვერაა, მარ-
თალს არ ამბობს.

რა შუაშია! – გადატ. რისი მოვალეა, რა ეკალება, რა პასუხისმგებელია; რა მისი ბრალია.

რა ჩემი გადასახადია! – გადატ. რა ჩემი პასუხისმგებია, რა ჩემი საზღვევია? რა ჩემი პრობლემაა?!?

რა ცალი გაიღია? – რა საქმე გაქვს, რატომ არა გცალია? (არ მცალიას პასუხად).

რა ცოდვისა მეპითხა?!? – რა დანაშაულისთვის მომეთხოვება პასუხი?! გადატ. რა უბედურება შემეტხება, რა დავაშავე ისეთი?!

რა ფითელი პვერცხია! – გადატ. გამოსარჩევი, საფერებელი, სალოლიავებელი არ არის, საუკეთესობამდე ბევრი უკლია, არავის ჯობია.

რა ფიჭაპა გიშამია?! – გადატ. 1. ასე რაშ გაგამწარა?! 2. გამწარება, გაცეცხლება, გულის მოსვლა, სიანჩლევა.

რა ფყალს ჩავუდგე – რა წყალში ჩავვარდე, რა ვიღონო, რა გზას დავადგე.

რა ფყალსა და ღვარს მივსცე თავი (მივცევე)! – რა ვქნა, რა გავაწყო, როგორ მოვიქცე, - რა წყალში ჩავვარდე.

რა ფყალში გადავვარდე! – გადატ. რა ვქნა, როგორ მოვიქცე, რა ვიღონო.

რა ფყალში ჩავვარდე! – რა ვქნა, როგორ მოვიქცე, რა ვიღონო.

რა ჭირად უნდა – არა სჭირდება, არაფერში არგია, რა თავში იხლის.

რა ჭპუა აქვს – რა მნიშვნელობა აქვს, მნიშვნელობა არა აქვს.

რა ჭპუა დაუშლის?! – გადატ. იმისგან (ვიზედაც ლაპარაკია) ყველაფერია მოსალოდნელი, უჭკუოა, სულელია, ბრიყეია.

რა ხანია, რამდენი ხანია – კარგა დროა გასული მას შემდეგ, დიდი ხანია, კარგა ხანია.

რა ხეირი დაეყრება, რა პარგი (პეთილი...) დაეყრება – რა ხეირი, რა სიკეთე მოუვა.

რა ხეირს დაგვაყრის! – რა სიკეთეს გვარგუნებს! გადატ. არ გვასარგებლებს, სიკეთეს არ გვიზამს!

რა ხელი აქვს! – გადატ. რა უფლება აქვს! რა ესაქმება! რა მისი საქმეა!

რა ხელს ჰყრის – რას არგია.

რა ხელყრის – რად უწდა, რას აქნევს.

რა ხილია! – როგორი ხილია! გადატ. და დაცინვით: რა თვისებისაა, რა ღირსებისაა!

რამე აზრს (გადაწყვეტილებას...) დაადგება – საბოლოო აზრს (გადაწყვეტილებას...) მიიღებს, დაასკუნის, გადაწყვეტს.

(რამე) გზაზე დგება – გადატ. რამეს დაიწყებს, რამეზე გადავა, რამეს შეუდგება.

(რამე) პირობაზე იღგა – (რამე) პირობას იცავდა, პირობას ასრულებდა.

